ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4287723

ნომერი: AR1646311

თარიღი : 24.11.2018

გაცემის თარიღი : 03.12.2018

გაცნობის თარიღი : 03.12.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ევგენი მიქელაძე , N 3ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი მურვანიძე პ/ნ 01015021376
- თბილისი ნ.სულხანიშვილის II შეს. N 8

ორგანიზაცია:

- არქიკოლეგიუმი კოდი: 405004043

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 24 ნოემბრის #AR1646311 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, ევგენი მიქელაძის ქუჩ ა#3ა, საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.13.03.027.005 მიწის ნაკვეთზე 2015 წლის 22 აპრილის #1909946 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას, კერძოდ: გარდა არსებული შენობების რეკონსტრუქციისა, ახალი მშენებლობის დაფიქსირებას. პასუხად გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით სამსახურს უნდა მომართოთ ახალი განცხადებით სადაც ნომენკლატურაში ნაცვლად "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება" უნდა აირჩიოთ "მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა" .

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახური მოკლებულია თქვენი განცხადების განხილვის შესაზლებლობას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.